განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 27.05.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი17.06.2019

თბილისი

17.06.2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში, 0703
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხათუნა კაჭარავა გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ქეშელაშვილი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ გაგუა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ენდი ჭელიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კავკასიის უნივერისტეტის მედიის სკოლის ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა 2006 წლიდან ხორციელდება (დამტკიცების თარიღი: 14.11.2006).

პროგრამამ სტუდენტთა პირველი ნაკადი 2007 წელს მიიღო. დღეს მას 7 თაობის კურსდამთავრებული ჰყავს. კავკასიის უნივერსიტეტის დაკვეთით ჩატარებული ბოლო კვლევის მიხედვით, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა 93% დასაქმებულია, მათ შორის 58% - სპეციალობით.

შპს კავკასიის უნივერისტეტის მედიის სკოლის ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია 21.07.2014, #160 გაიარა.

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, აკრედიტაციის ახალი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, დაიგეგმა პროგრამის განვითარებით დაინტერესებული მხარეების მოთხოვნათა კვლევა და მედიაბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის განახლება.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამა ითვალისწინებს ჟურნალისტიკის მიმართულების, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული დარგების, კერძოდ, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციის შესაბამისი სასწავლო კურსების ერთობლიობას.

წარმოდგენილი პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ზოგადი განათლება, სფეროს მრავალმხრივი ცოდნა და უნარები. მან მუშაობა უნდა შეძლოს ნებისმიერი ფორმატის მედიაში და მასობრივი კომუნიკაციების სფეროს მომიჯნავე სექტორებშიც. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ეუფლება, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლებს, ასევე, სოციალური მეცნიერებების, მედიის კვლევების, ამ კვლევების შედეგების ანალიზისა და პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო ცოდნასაც. პროგრამაში წარმოდგენილი პრაქტიკული სეგმენტი ჩაშენებულია ცალკეული სილაბუსების ნაწილში, აგრეთვე შეთავაზებულია ცალკეული არჩევითი საგნების სახით.

„ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ზოგადი, სპეციალობის საგნებისა და თავისუფალი კრედიტებისგან.

სულ 240 კრედიტი.

„ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ პროგრამას ჰყავს 7 თაობის კურსდამთავრებული. კავკასიის უნივერსიტეტის დაკვეთით ჩატარებული ბოლო კვლევის მიხედვით, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა 93% დასაქმებულია, მათ შორის 58% - დასაქმებულია სპეციალობით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 მარტის № 215 ბრძანებით შპს კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის პროგრამა ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე, 23.05.2019, კავკასიის უნივერსიტეტმა აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს წერილით მიმართა, სადაც აღნიშნული იყო, რომ სააკრედიტაციო პაკეტების განახლებულ ვერსიებში კვალიფიკაციის სახელწოდება ჩამოყალიბდა „ეროვნული კვლიფიკაციების ჩარჩოს"დანართი №2 შესაბამისად, სადაც პროგრამა წარმოდგენილი იყო ახალი სახელწოდებით და ახალი კვალიფიკაციის კოდით. საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტობისა და განმეორებითი აკრედიტაციის გავლის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო აკრედიტაცია გაიაროს ძველი „ეროვნული კვლიფიკაციების ჩარჩოს" მიხედვით შემდეგი ფორმულირებით: პროგრამის სახელწოდება - ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში, 0703.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა მ/წ 27 მაისს. წინასწარ შეთანხმებული სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მედიის სკოლის ბაზაზე არსებული მედიაცენტრი და რადიო და TV სტუდია; ადგილზე გაეცნო სტუდენტების პრაქტიკული მუშაობის პროცესს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს წარუდგინა პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტებთან;
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა- მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან;
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- შესაბამისობაშია სტანდარტებთან;
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა- შესაბამისობაშია სტანდარტებთან;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები- შესაბამისობაშია სტანდარტებთან;

- **რეკომენდაციები**
  - **2.3.** სასწავლო კურსის დაგეგმვისა და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულ იქნას კონკრეტული კურსის სპეციფიკა, როგორც საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ასევე კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობის და სირთულის სწავლება-სწავლის რელევანტური მეთოდები და სტუდენტთა დატვირთულობა, ამჟამად, ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია.

- **2.6.**რეკომენდირებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 -თან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი პროგრამის სავალდებულო საგნების „მედიალაბი 1“ და „მედიალაბი 2“ შეფასების სისტემა და კრიტერიუმები.
- **2.6** რეკომენდირებულია, არჩევითი ბლოკის საგნებში „რეკლამა“ და “საგამოძიებო ჟურნალისტიკა“ გაიწეროს ჯგუფურ დავალებებში ინდივიდუალური წვლილის შეფასების მექანიზმები.
- **4.1.** რეკომენდირებულია, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად გაიზარდოს პროგრამაში სამეცნიერო ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილი.
- **4.1**.გასწორდეს ჩანაწერი პროფესორების რაოდენობასთან დაკავშირებით, დადარდეს ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - **2.3.** სასურველია, სავალდებულო საგანში „კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქება“ გაძლიერდეს თეორიული კომპონენტი.
  - **2.4.** გააქტიურდეს ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - შპს კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამაში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ რეაკრედიტაციის მიზნით, მიღებულ იქნა პროგრამის სასწავლო კურიკულუმის დახვეწა-განახლების გადაწყვეტილება. 2015 წლიდან პროგრამაში შევიდა ცვლილებები - გამრავალფეროვნდა პროფესიული არჩევითი კურსების ბლოკი. მეოთხე აკადემიური წლის არჩევით საგნებს დაემატა: პოლიტიკის გაშუქება; კულტურის ამბების გაშუქება; ახალი ამბების პროდიუსინგი; ჟურნალისტური წერის ტექნიკის 2-სემესტრიანი კურსი გადაკეთდა ერთსემესტრიანად, ბადეში დარჩა III სემესტრში, მის I ნაწილს კი ჩაენაცვლა საგანი “ახალი ამბები” და ბადეში დარჩა II სემესტრში; გამრავალფეროვნდა არჩევითი მეორე უცხო ენის ბლოკი და ფრანგულ და გერმანულ ენებს დაემატა ესპანური ენა; 01.12.2015 - პროგრამა დამტკიცდა

შეცვლილი დასახელებით. პროგრამის სახელში "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა" შეიცვალა "ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამით"; მეოთხე ეტაპის არჩევით საგნებს დაემატა პრაქტიკული კურსები: ონლაინ მედიალაბი და სამაუწყებლო რეპორტინგის პრაქტიკული ლაბორატორია. ასევე, შეიცვალა თავისუფალი კრედიტების არჩევის წესი. მათი არჩევა დასაშვები გახდა არა მხოლოდ მეორე უცხო ენის ნაცვლად, არამედ ნებისმიერი არჩევითი საგნის ნაცვლად; პროგრამის ძირითადი საგნებს დაემატა მედიალაბი1 და მედიალაბი2, რომელიც მეოთხე აკადემიური წლის სავალდებულო 15/15 ECTS კრედიტიანი 2 მოდულია და მოიცავს 3/3 სასწავლო კურსს (ჯამში 6), თითოეული 5 ECTS (ჯამი 30 ECTS კრედიტი), არჩევითი საგნების ბლოკს დაემატა საგანი, რეპორტინგი ინგლისურ ენაზე, აგრეთვე, არჩევით საგნების ბლოკიდან ძირითად საგნებად განისაზღვრა მედიის კვლევის მეთოდები, აკადემიური წერა, სოციოლოგია, რაც მნიშვნელოვანი ცვლილებაა სწავლის შემდეგი ეტაპის, მაგისტრატურისთვის სტუდენტების მომზადების თვალსაზრისით.

კურიკულუმში გათვალისწინებულია ჟურნალისტებისთვის დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენციის ჩამოყალიბება. მაგალითად, მომავალი ჟურნალისტებისათვის შეთავაზებულია არჩევითი საგნები პროფესიული სამიზნე ენა (2 ნაწილი ინგლისურ ენაზე), რომელსაც სტუდენტი გადის B2 დონის დახურვის შემდეგ და რეპორტინგი ინგლისურ ენაზე სტუდენტებისათვის, ვისაც ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი კომპეტენცია გააჩნია.

პროგრამაში გაძლიერდა ინტერნეტ-ჟურნალისტიკისა და მონაცემთა ვიზუალიზაციის სწავლება, რაც ტექნოლოგიების განვითარების ტემპიდან გამომდინარე, უდავოდ, საჭირო ცვლილებაა.

აღნიშნული დინამიკა აჩვენებს, რომ თანამედროვე მედიაში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ პროგრამაში იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიური და შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებები, გათვალისწინებულია მედიაში არსებული უახლესი ტენდენციები

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასთან ერთად, ზნეობრივად სრულყოფილი და დემოკრატიული იდეალების ერთგული სპეციალისტების ჩამოყალიბებაცაა. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ეფუძნება კავკასიის მედიის სკოლის ღირებულებებს, რომელთა ფუნდამენდიც არის დემოკრატიული პროცესების, ქვეყნის განვითარებასა და ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, პროცესების გამჭვირვალობის ხელშეწყობა. შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი მედიაპროფესიონალების მომზადებას, რომელთაც სიღრმისეულად ესმით ჟურნალისტიკის ნორმები, ღირებულებები, ინსტრუმენტები და სტანდარტები; რომლებიც საფუძვლიანად ერკვევიან ჟურნალისტური პრაქტიკის სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებლივ და ეთიკურ ასპექტებში; რომლებიც ფლობენ საკმარის ცოდნას იმ ინტელექტუალური გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც მედიასა და კომუნიკაციების სფეროს აყენებს თანამედროვე გლობალური რეალობა.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს, დამსაქმებელთა ხედვებს და სურვილებს. დამსაქმებელთა კვლევაში, რომელიც 2018 წელს კავკასიის უნივერსიტეტის დაკვეთით ჩატარდა მონაწილეობა მიიღო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 6-მა დამსაქმებელმა შერჩეულმა რესპონდენტებმა შეავსეს ონლაინ კითხვარი, რომელშიც შეკითხვები იყო, როგორც კავკასიის მედიის სკოლის აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა ცონდასა და უნარ-ჩვევებზე, ასევე, რესპონდენტთა ხედვაზეც სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით. პროგრამის განვითარების პროცესში კავკასიის მედიის სკოლის ადმინისტრაცია სისტემატურად იყენებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს. ისეთებს, როგორიცაა მაგალითად, IREX-ის ყოველწლიური "მედიის მდგრადობის ინდექსი", რომლიც მედიაგარემოს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით აფასებს: გამოხატვის თავისუფლების ხარისხით, პროფესიული ჟურნალისტიკით, სიახლეების მრავალფეროვნებით, ბიზნესმენეჯმენტითა და მედიის მხარდამჭერი ორგანიზაციებით.

აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებს გამოუმუშავდებათ. პროგრამის კურსდამთავრებული მზად უნდა იყოს თანამედროვე გამოწვევებისთვის და გაუმკლავდეს ბაზრის მოთხოვნებს, უნდა ჰქონდეს სფეროს მრავალმხრივი ცოდნა და უნარები, შეძლოს სამაუწყებლო, ონლაინ, ბეჭდურ მედიაში - ფოტო, აუდიო და ვიდეო ფორმატებში და რამდენიმე მომიჯნავე სექტორში მუშაობა, რომელსაც მასობრივი კომუნიკაცია მოიცავს. ამ გარემოებების გათვალისწინებით კავკასიის მედიის სკოლის მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტი ეუფლება საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლებსაც; სოციალური მეცნიერებების, მედიის კვლევების, ამ კვლევების შედეგების

ანალიზისა და პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო ცოდნას, თანამედროვე გლობალური რეალობის გათვალისწინებით აქვს ინგლისურ ენაზე მედიაპროდუქტის შექმნის შესაძლებლობა.

კავკასიის უნივერსიტეტის 2014-2020 წლების სტრატეგიული გეგმის ნაწილს წარმოადგენს კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული გეგმა, სადაც ასახულია, როგორი იქნება მომავალში პროგრამის განვითარების აქცენტები. ეს არის ხედვა, თავისი ამოცანებითა და საზომი ინდიკატორებით, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარება ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, მის პრიორიტეტულ მიმართულებას საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერება წარმოადგენს.
პროგრამის მიზანი საჯარო და ხელმისაწვდომია, გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ➢ თვითშეფასების ანგარიში;
- ➢ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ➢ უსდ -ს მისია, მიზნები და სტრატეგია;
- ➢ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ➢ კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2014-2020;
- ➢ ვებგვერდი www.cu.edu.ge.; კავკასიის მედიის სკოლის ფეისბუკ გვერდი;
- ➢ ინტერვიუს შედეგები უსდ-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, შემუშავებულია ეორვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი დონის მიხედვით და შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, პროგრამის შედეგები ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადია.

უნივერსიტეტში შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. ამ მიზნით, პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით განხორციელდა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებელთა კვლევა, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგებითაც.

მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა დარგში მომუშავე დამსაქმებლების მაღალი სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე კურსდამთავებულს უნდა ჰქონდეს, საბაზისო პროფესიული უნარები: ძირითადი მედიააღჭურვილობისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი წერა და ტექსტის რედაქტირება, აუდიო და ვიდეო მასალის ჩაწერა და მონტაჟი, ფოტოს გადაღება და რედაქტირება, სხვადასხვა მედიაფორმატში მუშაობის

ცოდნა და პრაქტიკულ უნარები, ასევე უნდა ჰქონდეს საზოგადოებასთან ურთიერთობებისა ან მარკეტინგული კომუნიკაციების სპეციალისტისთვის საჭირო, მედიის კვლევების ჩატარებისა და მისი შედეგების გამოყენებისთვის აუცილებელი საბაზისო უნარები. ამიტომ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ამზადებს ამ სფეროს ფართო პროფილის სპეციალისტს, რომელსაც პროგრამის დასრულების შემდეგ ექნება მისი მიზნების შესაბამისი ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები, 4 წლიანი ციკლის განმავლობაში. სილაბუსში აღწერილი შედეგები ითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ თითოეული სავალდებულო კურსისათვის, მოსწრების შედეგების მიხედვით, ჯგუფში დარეგისტრირებულ სტუდენტთა (ჯგუფში არანაკლებ ათი სტუდენტისა) მინიმუმ 80% ფასდება 51 და მეტი ქულით (E - საკმარისი), იმ აუცილებელი პირობით, რომ სტუდენტს გადალახული აქვს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მინიჭებული აქვს კრედიტი; ან ჯგუფის საშუალო ქულა არანაკლებ 80%-ია. სასწავლო კურსზე ერთზე მეტი ჯგუფის არსებობისას, შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული ჯამური სიდიდით. პროგრამის თითოეული შედეგის შესაფასებლად ჯგუფდება ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთაც სულ ცოტა ერთი შედეგი აქვთ საერთო;

პროგრამა დასახულ შედეგებზე გადის, როდესაც საერთო ნიშნით დაჯგუფებული სასწავლო კურსებისთვის ჯამური საშუალო სიდიდე აღემატება 80%-ს.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებს, უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამის სამიზნე ნიშნულები, ისევე როგორც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა, მოხდა მიღებული მონაცემების დადარება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. პროგრამის შეფასების მიზნები და შედეგები ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მოიცავს მისი შინაარით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; შედეგები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; მიზნები და ყველა შედეგი ჩამოყალიბებულია ნათლად, მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია, არსებობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; განსაზღვრულია შეფასების მეთოდოლოგია, სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ბაზრის მოთხოვნები; შედეგები კურსდამთავრებულს პროფესიით დასაქმების, ასევე, განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას აძლევს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ➢თვითშეფასების ანგარიში;

➢საგანმანათლებლო პროგრამა;

➢პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
➢შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

➢პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

➢ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;

➢სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში;

➢ვებ-გვერდიwww.cu.edu.ge.

➢ გამოკითხვის შედეგები;

➢ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

➢ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე მიღების წინაპირობები და ინფორმაცია აღწერილია საბაკალავრო პროგრამების ანკეტა-კითხვარში, სადაც განსაზღვრულია პრიორიტეტები: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 3 სავალდებულო საგანში თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში, პრიორიტეტი ენიჭება პირს, რომელსაც უკეთესი ქულა აქვს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ზოგადი უნარებისა და უცხო ენის წონა ჩარიცხვისას არის თანაბარი. პროგრამაზე მიღება ხდება ნებისმიერი უცხო ენით. მე-4 საგნად კი უფრო მეტი ადგილია გამოცხადებული მათთვის, ვინც აბარებს ან ისტორიას, ან ლიტერატურას, ან გეოგრაფიას, შემდეგ - სამოქალაქო განათლებას, ბოლოს კი ყველა დანარჩენ საგანს. პროგრამაზე დაშვების პროცედურები და წინაპირობები შეესაბამება მოქმედ

კანონმდებლობას. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

➢პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები)
➢ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები;
➢ვებგვერდი www.cu.edu.ge.და სოციალური ქსელები
➢თვითშეფასების ანგარიში.
➢ საბაკალავრო პროგრამა;
➢ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

➢ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები თანმიმდევრული და ლოგიკურია. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს ცოდნის გრადაციას საბაზისოდან ფართომდე. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. ერთი სასწავლო წელი -განისაზღვრება 60 ECTS კრედიტით. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი და სხვა), ასევე, მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის სემესტრის ორგანიზება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აითვისოს 75 ECTS კრედიტზე მეტი. პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტების დიფერენციაცია ენობრივი კომპეტენციების მიმართულებით. კერძოდ, სტუდენტი იწყებს ინგლისურ ენას იმ ეტაპიდან, რომელიც შეესაბამება მის ცოდნას. სტუდენტს რომელსაც არ ჩაუბარებია ინგლისური ენა, უტარდება დონის დასადგენი ტესტი და შემდეგ ხდება მისი რეგისტრაცია შესაბამის დონეზე. 240 ECTS კრედიტიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: 185 სავალდებულო ECTS კრედიტი (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან, 195 ECTS კრედიტი) 55 არჩევითი ECTS კრედიტი (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან, 45 ECTS კრედიტი). ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ზოგადი, სპეციალობის საგნებისა და თავისუფალი კრედიტებისგან.

ზოგად სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 40 ECTS კრედიტი (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან - 50 ECTS კრედიტი).
ზოგადი ინგლისური (4 ნაწილი: B1.0 დონიდან B2 დონის ჩათვლით). ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე ზოგადი ინგლისური ენის სწავლებას ეთმობა 4 ან 6 სემესტრი და რეგულირდება - ინგლისური ენის სწავლების შესახებ ბრძანებით. შესწავლის ხანგრძლივობის განმსაზღვრელია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ენის კომპონენტში მიღებული შედეგები.
სპეციალობის სავალდებულო საგნებს ეთმობა 145 ECTS კრედიტი.
არჩევით საგნებს ეთმობა 55 ECTS კრედიტი. (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს ბ B1.0 დონიდან - 45 ECTS კრედიტი). მათ შორის სტუდენტს აქვს მეორე მეორე უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა (ფრანგული ენა 4 ნაწილის არჩევის შესაძლებლობით: A1.0-დან B1-ის ჩათვლით)გერმანული ენა 4 ნაწილის არჩევის შესაძლებლობით: A1.0-დან B1-ის ჩათვლით)ესპანური ენა 4 ნაწილის არჩევის შესაძლებლობით: A1.0-დან B1-ის ჩათვლით).

არჩევითი საგნების ნაცვლად, სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს თავისუფალი კრედიტების სისტემით:
მაქსიმუმ 20 ECTS-ით, რომელიც შეუძლია მიიღოს ან კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან, ან მობილობის დროს აღიარების პროცესით.

არჩევითი საგნების ნაცვლად სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საველე პრაქტიკით:
მაქსიმუმ 10 ECTS კრედიტი დააგროვოს საველე პრაქტიკით, რაც გამოიხატება პრაქტიკული საქმიანობით ჟურნალისტიკასა და მასობრივი კომუნიკაციების სხვადასხვა სფეროში: საჯარო, არასამთავრობო, კერძო სექტორებში, კვლევით ორგანიზაციებში.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ვადაა 4 აკადემიური წელი. ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით, განაგრძოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში, საერთო ჯამში, არაუმეტეს 6 აკადემიური წლისა.

პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს საბაზისო, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა. უკანასკნელზე აქცენტი პროგრამის ძლიერ და გამორჩეულ მხარეს წარმოადგენს. შრომის ბაზრის კვლევის მიხედვით, კურსდამთავრებულებისთვის ყველაზე დეფიციტური და ამავდროულად დამსაქმებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაციის უნარი. პრაქტიკული კომპონენტი ჩაშენებულია კონკრეტული სილაბუსების ფარგლებში. კონკრეტულად, სწავლების ზედა საფეხურზე შეთავაზებულია მედიალაბი 1 და მედიალაბი 2 მეოთხე აკადემიური წლის სავალდებულო 15/15 ECTS კრედიტიანი 2 მოდული, რომლებშიც შედის 3/3 სასწავლო კურსი (ჯამში 6), თითოეული 5 ECTS (ჯამი 30 ECTS კრედიტი). ამ კურსების მიზანია ჟურნალისტიკასა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამაზე სწავლის 3 აკადემიური წლის განმავლობაში

მიღებული თეორიული, დიდწილად კი პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება-განმტკიცება-გაღრმავება. ეს არის პროგრამაზე სწავლის ბოლო 2 სემესტრზე გაწერილი შემაჯამებელი სასწავლო კურსები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ინტენსიურად, რეალურ ნიუსრუმებთან მაქსიმალურად დაახლოებული მოდელების მიხედვით, მუშაობენ მედიაპროდუქტის შექმნაზე.

მედიალაბი 1. მოიცავს პროდაქშენის პროცესს და შემდეგ მიმართულებებს: პოლიტიკის გაშუქება, მედია მენეჯმენტი და ახალი ამბების პროდიუსინგი, კულტურის ამბების გაშუქება. მედიალაბი 2. მოიცავს პროდაქშენის პროცესს და შემდეგ მიმართულებებს: კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქება, ეკონომიკისა და ბიზნესის გაშუქება, დოკუმენტური ფილმი.

აღნიშნული საგანი ჯერ არ არის გააქტიურებული, პრაქტიკაში ცხადი გახდება, რამდენად ეფექტურად მოხერხდა სხდასხვა საგნების კონცენტრაციის მოცემულობაში პრაქტიკული ნაწილის ჩაშენება.

კურიკულუმში გათვალისწინებულია ჟურნალისტებისთვის დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენციის ჩამოყალიბება. მაგალითად, მომავალი ჟურნალისტებისათვის არჩევითი საგნები პროფესიული სამიზნე ენა (2 ნაწილი ინგლისურ ენაზე), რომელსაც სტუდენტი გადის B2 დონის დახურვის შემდეგ და რეპორტინგი ინგლისურ ენაზე სტუდენტებისათვის, ვისაც ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი კომპეტენცია გააჩნია.

პროგრამაში გაძლიერდა ინტერნეტ-ჟურნალისტიკისა და მონაცემთა ვიზუალიზაციის სწავლება, რაც ტექნოლოგიების განვითარების ტემპიდან გამომდინარე უდავოდ საჭირო ცვლილებაა.

სავალდებულო გახდა კვლევის მეთოდებისა და აკადემიური წერის და სოციოლოგიის კურსები, რაც ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებაა სწავლის შემდეგი ეტაპის, მაგისტრატურისთვის სტუდენტების მომზადების თვალსაზრისით.

პროგრამის განვითარება დაგეგმილია ისე, რომ მისი შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების ეტაპს. სტრუქტურით და შინაარსით ის თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კომპონენტები დალაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით და ზედა ეტაპზე გადასვლისას, ყოველ შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა არის ადეკვატური.

პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების აღწერის რუკა, რომელშიც დეტალურად არის ასახული პროგრამის 8 შედეგიდან, რომელი სავალდებულო საგანი რომელ შედეგზე გადის და რა ხარისხით: დაბალი, საშუალო თუ მაღალი.

პროგრამის განვითარებაში ჩართულები არიან დაინტერესებული მხარეები - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და ა.შ. პროცესში ხდება ახალი კვლევების შედეგების, დარგის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინება. კავკასიის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები ➢ თვითშეფასების ანგარიში ➢ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია ➢სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება ➢ვებ გვერდი - www.cu.edu.ge. ➢ შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში ➢ კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში ➢პროგრამის დამსაქმებელთა კვლევის ანგარიში ➢ ინტერვიუ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ➢ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები

შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი (გამონაკლისი -საბოლოო მედიალაბი - 15) განისაზღვრება 5 კრედიტით. სწავლის მოცულობა განსაზღვრული სწავლის შედეგების და მათთან დაკავშირებული დატვირთვის ადეკვატური უნდა იყოს, რაც პროგრამით გათვალისწინებული განსხვავებული შინაარსის და კომპეტენციების კურსებისთვის ერთიანი ვერ იქნება.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კვალიფიკაციის დონის მოთხოვნებთან, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი განსაზღვრულია შეფასების ფორმებით.

სილაბუსით მითითებული ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, რიგ სილაბუსებში მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომლის გაცნობის და გააზრების საშუალება სტუდენტებს ინგლისური ენის ინტენსიური სწავლის შედეგად გამოუმუშავდებათ. სავალდებულო საგანში „კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქება“ სასურველია თეორიული კომპონენტის გაძლიერება, რომელიც სტუდენტს კონფლიქტის ბუნების უკეთ გააზრების შესაძლებლობას მისცემს - კერძოდ, კონფლიქტის დროს მხარეების მიერ გამოყენებული სტრატეგიების, ტაქტიკური ხერხების, ესკალაციის სტადიებისა და ამ დროს მიმდინარე სტრუქტურული და ფსიქოლოგიური ცვლილებების კუთხით. (რეკომენდებული ლიტერატურა: Jeffrey Z. Rubin, Dean G. Pruitt, Sung Hee Kim. *Social Conflict: Escalation, Stalemate, and Settlement. 2003)*

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3, 2007 წ. 5 იანვარი.
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის სამსახურთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

➢სასწავლო კურსის დაგეგმვისა და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულ იქნას კონკრეტული კურსის სპეციფიკა, როგორც საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ასევე კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობის და სირთულის სწავლება-სწავლის რელევანტური მეთოდები და სტუდენტთა

დატვირთულობა, ამჟამად, ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველია, სავალდებულო საგანში „კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქება“ გაძლიერდეს თეორიული კომპონენტი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ➢ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკითა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსით, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს მედია ცენტრი, ტელე და რადიოსტუდია, სადაც სტუდენტები რეალური ნიუსრუმის პრინციპით მუშაობენ, “ნიუსრუმი” მოწყობილია პრაქტიკული კლასებისა და სამუშაო პროცესისთვის.

კავკასიის მედიის სკოლის სატელევიზიო პავილიონი აღჭურვილია თანამედროვე სამაუწყებლო და ლაივ-სტრიმისთვის განკუთვნილი აპარატურით.

კავკასიის მედიის სკოლაში მუშაობს სტუდენტური "ონლაინ რადიო CSM" (დონორები: ფონდის ღია საზოგადოება საქართველო, დოიჩე ველეს აკადემია), რომელშიც სტუდენტები მენტორის მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობენ მედიაპროდუქტის სისტემატურ შექმნაზე;

2-ჯერ გამოიცა ბეჭდური მედიაპროექტი: ჟურნალი "თაობა" პარტნიორი: გამოცემა "ლიბერალი", დონორი: აშშ-ს საელჩო საქართველოში.

სტუდენტები რეგულარულად გეგმავენ და აღასრულებენ მასშტაბურ პროფესიულ პროექტებს. შეუძლიათ შეხვედრების ორგანიზება და მისი ლაივ-სტრიმის დამოუკიდებლად, მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა, პირდაპირ ეთერში მუშაობა.

პრაქტიკული უნარების განვითარება გადანაწილებულია ცალკეულ კურსებში პრაქტიკული ხასიათის პროექტების და დავალებების შესრულებით. პროგრამაში 2-ჯერ - III და IV ეტაპებზე, გათვალისწინებულია საველე პრაქტიკა, რომელიც სტუდენტს კიდევ უფრო მეტად უვითარებს რეალური მედიასივრცესა თუ მასთან დაახლოებულ სფეროებში მუშაობის პრაქტიკულ უნარებს.

ონლაინ რადიო CSM-ის შექმნასა და მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა სტუდენტმა;ბეჭდური ჟურნალის შექმნასა და გამოცემაში მონაწილება მიიღო - 17-მა სტუდენტმა; პროგრამით გათვალისწინებული საველე პრაქტიკა გაიარა 65-მა სტუდენტმა.

ინტერვიუებისა და მედიაცენტრის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებს აქვთ სივრცეები, სადაც შეუძლიათ პრაქტიკული გამოცდილების მიღება. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროექტებისა, კავკასიის მედიის სკოლაში პერმანენტულად არის აქტივობები სტუდენტებისა და პერსონალის ერთობლივი ჩართულობით. 2018-19 სასწავლო წლის განმავლობაში კავკასიის მედიის სკოლა მართავს მედიაწიგნიერების პროექტს "CSM ახალგაზრდების მედია წიგნიერებისთვის". მის პრაქტიკულ ნაწილს წარმართავენ პროგრამის სტუდენტები.პროექტის მხარდამჭერია აშშ-ს მთავრობა. პროექტში ჩართულობით სტუდენტები იძენენ დამატებით გამოცდილებას და უნარებს.

პრაქტიკული უნარების განვითარებასთან ერთად პროგამაში გათვალისწინებულია კვლევითი უნარების განვითარებაც. პროგრამაში სავალდებულოდ ისწავლება სოციოლოგია, მედიის კვლევის მეთოდები. ამ მიმართულების გაძლიერების მიზნით განახლებულ პროგრამას დაემატა აკადემიური წერის სავალდებულო კურსიც. სხვადასხვა საგნის ფარგლებში გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტი, ესეებისა და რეცენზიების წერა. პროგრამის მიღმა სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო და უნივერსიტეტის გარეთ გამართულ კონფერენციებში. საანგარიშო პერიდოში სასკოლო კონფერენციებში მონაწილეობა მიიღო 56-მა სტუდენტმა .კავკასიის მედიის სკოლაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი

კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზების, სამეცნიერო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, 2019 წლის იანვარში კავკასიის მედიის სკოლაში ამოქმედდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტურ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის ორგანიზებას. კავკასიის მედიის სკოლას თანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული უშუალოდ კომუნიკაციების სეგმეტის დამსაქმებლებთან (22 ერთეული) ბეჭდურ და ინტერნეტ გამოცემებთან, ტელე და რადიომაუწყებლებთან, დამოუკიდებელ სტუდიებთან, სარეკლამო და პიარ სააგენტოებთან. პარტნიორები სტუდენტებს პრიორიტეტულად აძლევენ სტაჟირების საშუალებას. ასევე, სტაჟირების წარმატებით გავლისა და ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დასაქმების შესაძლებლობასაც. კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია საერთაშორისო ურთიერთობები და ინტერნაციონალიზაცია.ამ მომენტისთვის მოქმედია ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმი - 52 ქვეყნის 111 უნივერსიტეტთან, რომელთა ფარგლებშიც 13 უნივერსიტეტთან გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა შეუძლიათ კავკასიის მედიის სკოლის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსაც, რადგანაც ამ კონკრეტულ პარტინიორებს წარმოდგენილ პროგრამასთან აქვთ გარკვეული თანხვედრა, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილება მიიღო - 12-მა სტუდენტმა; საერთაშორისო პროექტებში მონაწილება მიიღო - 5-მა სტუდენტმა. მემორანდუმების სიმრავლის მიუხედავად, გაცვლით პროგრამებში სტუდენტების აქტიური ჩართვა არ გამოიკვეთა, რადგან სტუდენტებს პრიორიტეტულად საზღვარგარეთ სამაგისტრო საფეხურზე სწავლა მიაჩნიათ. Erasmus + - ის ფარგლებში ხორციელდება ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტების 18 საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ თვითშეფასების ანგარიში ➢ რადიო და ტელეგადაცემები ➢ Erasmus + ➢ მემორანდუმები, საერთაშორისო მემორანდუმები ➢ინტრვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან , კურსდამთავრებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გააქტიურდეს ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ➢☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამა ორიენტირებულია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდების გამოყენებაზე პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ინტერაქტიული ლექციები; პრაქტიკული მუშაობა და გუნდური მუშაობა; ვერბალური მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; ლაბორატორიული, პრაქტიკული, ახსნა- განმარტებითი მეთოდი; დისკუსია/დებატები, როლური და სიტუაციური თამაშების

მეთოდი; შემთხვევის ანალიზის მეთოდი; ჯგუფური მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ევრისტიკული, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, ელექტრონული, თანამშრომლობითი სწავლება და გონებრივი იერიში. ყველა საგნის სილაბუსში გათვალისწინებულია პრაქტიკული ნაწილი. სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢თვითშეფასების ანგარიში ➢ ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამა ➢ სილაბუსები ➢ კვლევის შედეგები ➢ ინტერვიუს შედეგები მოწვეულ/აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან .
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ➢☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, თითოეულ სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდურობას, გამჭვირვალობას. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე და ცნობილია სტუდენტისთვის.მკაფიოდაა გაწერილი შუალედური და დასკვნითი გამოცდების შესაბამისი ქულების დაგროვების წინაპირობები. ასევე, წინასწარ განსაზღვრულია წერითი, ზეპირი (პრეზენტაციები, საკლასო მონაწილეობა, პროექტი, ჯგუფური მუშაობა, წერითი ქვიზი), პრაქტიკული კომპონენტების გადანაწილება და წილი; მათი რაოდენობები, სიხშირე და შეფასების კრიტერიუმები. ცალკეული გამოკითხვის შედეგთან დაკავშირებით სტუდენტებს განემარტებათ შეფასების კრიტერიუმები და მოცულობა.

სასწავლო კომპონენტების მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას / 100%. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია მაქსიმალური შეფასების 51- 51% ქულა; სასწავლო კომპონენტების შეფასება ხდება როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებებით და რეგულირებულია მინისტრის #3 ბრძანებით. სტუდენტთა შეფასება წარმოადგენს უკუკავშირის მექანიზმს.

მედიალაბი 1 და მედიალაბი 2 მეოთხე აკადემიური წლის სავალდებულო 15/15 ECTS კრედიტიანი 2 მოდულია, რომლებშიც შედის 3/3 სასწავლო კურსი (ჯამში 6), თითოეული 5 ECTS (ჯამი 30 ECTS კრედიტი). თითიეულ კურსში ლექტორი ქულას წერს ინდივიდუალურად (მაქსიმალური 30 ქულა). მოდულის ფინალური ქულა კი უდრის მათ საშუალო შეწონილს(იხ. სილაბუსი) თუკი სტუდენტი 15 ECTS კრედიტიანი მოდულის 3 სასწავლო კურსიდან, რომელიმე შემადგენელ ნაწილშიც კი იღებს არადამაკმაყოფილებელ ქულას, მოდული მთლიანად ფასდება არადამაკმაყოფილებლად.(იხ. პროგრამა) აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დაიხვეწოს მედიალაბი 1 და მედიალაბი 2 შეფასების სისტემა და ვინაიდან სამი საგანი გაერთიანებულია ერთ მოდულად, შესაძლებელია, შეიქმნას შეფასების ერთიანი სისტემა და კრიტერიუმები.
პროგრამის არჩევითი ბლოკის საგნებში „რეკლამა“ და “საგამოძიებო ჟურნალისტიკა“

ჯგუფურ პრეზენტაციებში არ არის განსაზღვრული სამუშაოში თითოეული სტუდენტის წვლილი. ჯგუფური დავალებების შეფასებები უნდა გულისხმობდეს ინდივიდუალური წვლილის შეფასების მექანიზმსაც.

კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს მიღებული შეფასების გასაჩივრების საჯარო მექანიზმები და ამ მექანიზმების გამოყენების პრეცედენტები.

პროტესტის შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ შესაძლებელია საგამოცდო ნაშრომის გადახედვა, შემოწმება და საფუძვლიანი არგუმენტის არსებობის შემთხვევაში შეფასების ცვლილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ➢ თვითშეფასების ანგარიში
- ➢ საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება
- ➢ ვებ გვერდი www.cu.edu.ge.
- ➢ ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა
- ➢ სილაბუსები
- ➢ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.
- ➢სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (2018)

რეკომენდაციები:

- ➢ რეკომენდირებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 -თან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი პროგრამის სავალდებულო საგნების მედიალაბი 1 და მედიალაბი 2 შეფასების სისტემა და კრიტერიუმები.
- ➢ რეკომენდირებულია, არჩევითი ბლოკის საგნებში „რეკლამა“ და “საგამოძიებო ჟურნალისტიკა“ გაიწეროს ჯგუფურ დავალებებში ინდივიდუალური წვლილის შეფასების მექანიზმები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

➢☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში, სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სათანადო კონსულტაციას. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა. საორიენტაციო შეხვედრებზე სტუდენტებს პროგრამის ხელმძღვანელის, მიერ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსებისა და განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. ვიზიტის მიმდინარეობისას, პროგრამის სტუდენტთა მიერ დადასტურდა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კონსულტაციების მიღების

შესაძლებლობა, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისგან მეილის, ტელეფონის, საკონსულტაციო შეხვედრების მეშვეობით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა თუ ღონისძიებების შესახებ, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგებით. კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა თქმით, პროგრამა მათ სთავაზობს, როგორც ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, ისე საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობას. სტუდენტების თქმით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც საჩივრის ან მოთხოვნის ფორმით მიუმართავთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, რასაც შესაბამისი და სამართლიანი გადაწყვეტილებები მოჰყოლია დაწესებულების მხრიდან. კურსდამთავრებულები, ისევე როგორც სტუდენტები ადასტურებენ პროგრამის ფარგლებში მობილობის ან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, მათი მხრიდან, ასევე, დაფიქსირდა სტაჟირების შესაძლებლობები, რომლის გავლის შემდეგ სტუდენტებს გაუფორმდათ ხელშეკრულებები კონკრეტულ ტელევიზიებში (ტელეკომპანია“იმედი“).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ თვითშეფასების ანგარიში; ➢ სილაბუსები; ➢ აკადემიური, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები; ➢ სამუშაო აღწერილობები; ➢ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, ➢კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით და პრაქტიკული საქმიანობით. მათ მიერ ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა არის - 112,საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 13, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 42, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 43, სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები (კვლევა, სახელმძღვანელო, წიგნი) – 47. პროგრამაში განხორციელებაში ჩართული პირები, უპირველეს ყოვლისა, არიან როგორც პედაგოგიური მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, ასევე, სფეროს პრაქტიკოსი სპეციალისტები. ისინი პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და კავკასიის უნივერსიტეტი შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, მათ ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

კავკასიის მედიის სკოლის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურება: 4 პროფესორი (2 აფილირებული), 4 ასოცირებული პროფესორი (1 აფილირებული), 1 ასისტენტ-პროფესორი (1 აფილირებული), 4 ასისტენტი, 26 მოწვეული პერსონალი. დასაქმების ბაზარზე საუკეთესო სპეციალისტების მოძიების მიზნით, საანგარიშო პერიოდში კონკურსი გამოცხადდა 2-ჯერ (2016, 2018) და მოხდა ახალი პერსონალის აყვანა. კონკურსების მიმდინარეობა და შედეგები იყო საჯარო და გამჭვირვალე.

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ აკადემიური და მოწვეული პროფესორების რაოდენობა არის 41, თუმცა რეალურად 40-ია. აღნიშნულ დოკუმენტებში არ არის იდენტური ჩანაწერი პროფესორების რაოდენობასთან და მოწვეულ პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. ასევე, თანამშრომლობს სკოლის ადმინისტრაციასთან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რეკრუტირების მიზნით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალი კვალიფიკაციის თანამედროვე ცოდნით აღჭუვილი, პრაქტიკული გამოცდილების მქონე კადრები, თუმცა, პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად უნდა გაიზარდოს სამეცნიერო ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

➢ თვითშეფასების ანგარიში
➢ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამა
➢ პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
➢ პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის CV
➢ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
➢ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციათან, მოწვეულ/აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- ➢ პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად გაიზარდოს სამეცნიერო ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილი.
- ➢ გასწორდეს ჩანაწერი პროფესორების რაოდენობასთან დაკავშირებით, დადარდეს ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის მედიის სკოლაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზების, სამეცნიერო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების, პროგრამის აღსრულებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ამ მიმართულებებით განვითარებაში ხელშეწყობის მიზნით, 2019 წლის იანვრიდან კავკასიის მედიის სკოლაში ამოქმედდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. მისი ძირითადი ფუნქციებია: სამეცნიერო, საგრანტო პროექტებზე მუშაობა, სამეცნიერო პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი, აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი სტატიების, სამეცნიერო ნაშრომების რედაქტირებისა და გამოქვეყნების ორგანიზება. სამეცნიერო-კვლევით ცენტრს დაენიშნა ხელმძღვანელი.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა გაიარა ტრენინგი: „აკადემიური წერა: სწავლება და თანამედროვე ტენდენციები" (2019). ტრენერებმა მონაწილე პერსონალთან ერთად განიხილეს აკადემიური წერის სილაბუსის ძირითადი კომპონენტები და სილაბუსისთვის აუცილებელი თემები. ტრენინგის კომპონენტი იყო “Moodle and Turn it in”-ის უკეთესად ათვისებაც. იგივე თემებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგი (პროექტ INTEGRITY-ის ფარგლებში) გაიმართა 2018 წელსაც. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა 2-მა პირმა აკადემიური პერსონალიდან და 1-მა პირმა მოწვეული პერსონალიდან.

ამას გარდა, საანგარიშო პერიოდში პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ისარგებლა კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით (3-ჯერ); 3 პირს პერსონალიდან, რომელთაც სტუდენტების სემესტრული უკუკავშირისას სისტემატიურად უფიქსირდებოდათ პოზიტიური შეფასებების უმაღლესი მაჩვენებლი, წასახალისებლად მოემატა ანაზღაურება; 4 პირი კი თანამდებობრივად დაწინაურდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში

➢ინტერვიუს ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის მედიის სკოლის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მოქმედებს კავკასიის მედიის სკოლის სტუდია. ეს სივრცე გათვალისწინებულია სხვადასხვა სასწავლო კურსისა და მიმდინარე სტუდენტური პროექტების ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების უნარის გამომუსამუშავებლად. სტუდიას ხელმძღვანელობს მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია: მის გამართულ მუშაობაზე და არსებული რესურსის სწორად

გადანაწილებაზე, საკლასო და არასააუდიტორიო დატვირთვების გეგმიურად გაწერაზე, პროცესის შეუფერხებელ ადმინისტრირებაზე და ა.შ.

კავკასიის მედიის სკოლის სტუდიის ნაწილები: სატელევიზიო პავილიონი, "ნიუსრუმი", სამონტაჟო და მედიის სკოლის სტუდენტური პლატფორმა - ონლაინ რადიო CSM, რომელიც 2015 წლიდან მაუწყებლობს ფონდ SIDA-სა და "ღია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით. ის აღჭურვილია შემდეგი აპარატურით: სამაუწყებლო ლეპტოპი - HP, მოდელი: m6-n015dx, ხმის იზოლატორი, 7 კომპლექტი ხმის ჩამწერი დიქტოფონი და მიკროფონი (TASCAM DR-05); ვიდეოკამერა - Sony Action Cam HDR-AS100V. ონლაინ რადიო CSM-ს მენტროშიპისა და ტექნიკური დახმარების პროგრამების ფარგლებში პერმანენტულად აქვს პარტნიორი "დოიჩე ველეს აკადემიის" მხარდაჭერა.

მედიის სკოლის სატელევიზიო პავილიონი აღჭურვილია თანამედროვე სამაუწყებლო და ლაივ-სტრიმისთვის განკუთვნილი აპარატურით. მობილური ვიდეო სტუდია განთავსებულია 2 "კეისში" და შედგება შემდეგი დეტალებისგან: 5 არხიანი ვიდეო სერვერი, პროგრამული უზრუნველყოფით; მონიტორი, უწყვეტი კვების წყარო, ვიდეო კაბელები 4 კამერისთვის, რაციების კომპლექტი, ყველა საჭირო აუდიო-ვიდეო კაბელი, აუდიო მიქშერი. მობილური ვიდეო სტუდიით შესაძლებელია მულტიკამერა გადაღება და მუშაობა: პირდაპირი ეთერის რეჟიმში, ინტერნეტტრანსლაცია - ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით, ჩაწერა ინტეგრირებული აუდიო მიქშერით, გრაფიკული გაფორმება, ტიტრებით გაფორმება და ა.შ.

მედიის სკოლის სტუდია აღჭურვილია 7 ერთეული ვიდეო კამერით: 4 - JVC JY-HM360E და 3 - JVC GY-HM100E, 7 ერთეული შტატივით: 4 - Libec TH-X და 3 - Libec TH-650, 9 ერთეული ხელისა და "მისამაგრებლიანი" რადიომიკროფონით (2- Sennheiser EW112PG3, 4 - Saramonic UwMic9 RX9+HU9, 3 - Sennheiser EW135PG3), 3 ერთეული ვიდეო კამერის განათებით: ETecpro Fillini; 1 ვიწრომიმართული მიკროფონის კომპლექტით, სამაგრით, ანკესით (65sm-2.5m), ქარსაფარით; 1 ხმის მიქშერით XLRmale-XLRfemale; 3 ერთეული 150 ვტ. განათების მოწყობილობით: Dedolight Classic Series 150W; 1 ერთეული 150 ვტ. რბილი განათების მოწყობილობით: Dedolight Soft Baby Classic Series 150W; 2 ერთეული: Intel(R) Core(TM) i7-2600 da Intel(R) Core(TM) 2Duo E7500; CANON-ის ფოტოაპარატებით და ობიექტივით; ფლიპკამერით Samsung, Hmx-420BP, 5 ერთეული Olympus VN-5200 PC მოდელის რადიომიკროფონით, 3 ერთეული CENIX VR-P2170NEW მოდელის რადიომიკროფონით, 2 ერთეული Olympus WS-321 M მოდელის რადიოდიქტოფონით.

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო დანიშნულების, დახურული ტიპის სტრუქტურული ერთეული. აქ დაცულია ქართული და უცხოური, ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემები, რომლებიც განკუთვნილია სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ეს ნაწილი აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე მკითხველისათვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად. ბიბლიოთეკაში არის კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ბეჭდური თუ ელექტრონული ლიტერატურა. სტუდენტებს წვდომა აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზეც: ScienceDirect, Scopus, Taylor And Francis Online და ა.შ კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. უნივერსიტეტში ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ➢ბიბლიოთეკის კატალოგი ➢საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; ➢ მედია ცენტრი ➢ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაცისთან. ➢კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას განაპირობებს პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებაში ჩართულები არიან: კავკასიის უნივერსიტეტის ფინანსური დეპარტამენტი, კავკასიის მედიის სკოლის ადმინისტრაცია და მოცემული პროგრამის ხელმძღვანელი. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტუდენტებისგან მისაღები შემოსავალი და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯი. ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ მონაცემებს. მათ შორის არის: სწავლება-სწავლის ხარჯი, კვლევითი კომპონენტი, განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, აკრედიტაცია-ავტორიზაცია და ა.შ. უფრო დეტალურად, მონაცემებში იგულისხმება:
ასევე, პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება მინიმალური სტუდენტთა რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება ხდება ცვლილების შესაბამისად.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმათლებლო პროგრამა ფინანსურად მომგებიანია, ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური რესურსის გამოყოფა სრულად არის მიღწევადი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური მხარდაჭერა წარმოდგენილ პროგრამას აქვს კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

➢უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაზე, მათი განვითარების ხელშეწყობაზე. ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული რესურსების მუდმივი შეფასებისა და გაუმჯობესების გზების დასახვას. უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. რომელიც ვრცელდება შემდეგ კომპონენტებზე 1. სწავლა-სწავლება 2.კვლევა 3.მართვა/მენეჯმენტი. სისტემატიზირებულია სტანდარტების ეფექტური შესრულების პროცედურები, რომლებიც ჩვეულებრივ რეგულარულად ხორციელდება. ყოველსემესტრულად ხორციელდება სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასება. ასევე, ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგების დამუშავება ხდება სასწავლო კურსების, ლექტორების, სკოლების მიხედვით. უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტების წლიური გამოკითხვა, რომლითაც სტუდენტები აფასებენ საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა ტიპის სერვისებს, სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პრაქტიკაშია ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას. ამ მხრივ განსაკუთრებული აქცენტი მოქმედ საერთაშორისო პარტნიორებთან პროგრამების დაახლოებაზე და მათი კურუკულუმების შესწავლაზე კეთდება. ეს პროცესი გულისხმობს ინფორმაციის მიღებას - ვებით, კავკასიის მედიის სკოლის აღნიშნული პროგრამის პარტნიორი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამასთან დისტანციურად დადარება მოხდა 2018 წელს პარტნიორ Savanahh State University-თან, აშშ. ყოველწლიურად პარტნიორთან პირაპირი კომუნიკაციით, აკადემიური პერსონალის ვიზიტების ფარგლებში, მოხდა მედიისა და კომუნიკაციების სფეროში პარტნიორების პროგრამების უკეთესად გაცნობა და შესწავლა Babes-Bolyai University, რუმინეთი (2018); SMK University of Applied Social Sciences, ლიეტუვა (2017). Loyola University, Chicago, აშშ.(2016). აღნიშნული აქტივობები არის მთავარი საშუალება, რომლითაც უნივერსიტეტი აფასებს და

ასახავს თავის მუშაობას, პოლიტიკას, გეგმებს და პროცესებს, აჩვენებს ანგარიშვალდებულებას, განსაზღვრავს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ხორციელდება მონიტორინგი და იწერება ანგარიში იმისათვის, რომ შემოწმდეს, ჰქონდა თუ არა პროცესებს წინასწარ განსაზღვრული ეფექტი, რის შემდგომაც ისახება შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის შემადგენლობაში შედიან დირექტორი და მენეჯერები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ან ჩართულნი არიან პროცესების ყველა ეტაპზე. მმართველი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

უნივერსიტეტის საზოგადოების თითოეული წევრი ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების დამკვიდრებაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. უნივერსიტეტის თითოეული სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან მიმდინარე პროცესების ხარისხის შეფასებისა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობთ შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების გზების დასახვის პროცესში.

უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი, რომელიც მოიცავს პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ეტაპებს. თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლის ჩართულობა. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იყენებს წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან და იღებს მისგან საჭირო კონსულტაციას. დეპარტამენტი რეკომენდაციებით მიმართავს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, როდესაც შეფასების შედეგები, პროგრამის ხარისხის ამაღლების მიზნით, საჭიროებს კონკრეტული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს სტუდენტების წლიურ გამოკითხვას (ე.წ. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას). ასევე, ატარებს სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრებს, რომლებიც ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამებისა და მისი ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ➢ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- ➢თვითშეფასების ანგარიში;
- ➢ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასება ხდება უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის დროს. ასევე, პერიოდულად ხდება გარე ექსპერტების მოწვევა, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების. ხორციელდება მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება. საანგარიშო პერიოდში სრულად იქნა გაზიარებულია და გათვალისწინებული რეკომენდაციები, რომელიც პროგრამამ მიიღო წინა აკრედიტაციის დროს, აკრედიტაციის ჯგუფის ექსპერტების მხრიდან, სამ წელში ერთხელ ხორციელდებოდა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა, სადაც დეტალურად აღიწერება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, ნაკლოვანებები და გაუმჯობესების გზები.

ამას გარდა, კავკასიის მედიის სკოლა დროდადრო იყენებს საერთაშორისო ექსპერტების შეფასებებს და მოქმედებს მიღებული რეკომენდაციების მიხედვით. ჯერ კიდევ 2013 წელს IREX-მა კავკასიის მედიის სკოლას გამოუყო პროგრამის შემფასებელი გარე ექსპერტი - ვაშინგტონის უნივერსიტეტის კომუნიკაციების კოლეჯის დეკანი ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას, სხვა რეკომენდაციებთან ერთად, მედიის სკოლას მან ურჩია პროგრამისთვის, მის ფინალურ ეტაპზე დაემატებინა ე.წ. capstone - შემაჯამებელი კურსი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები გამოიყენებდნენ პროგრამაზე სწავლისას მიღებულ ცოდნას, უნარ-ჩვევებს და პრაქტიკულად იმუშავებდნენ სხვადასხვა ფორმატში - ტვ, ინტერნეტი და სხვა. პროგრამული ცვლილებების გასულ ეტაპებზე ამ რეკომენდაციის შინაარსი აისახა პროგრამაში: მას დაემატა პრაქტიკული კურსები, არსებული კურსების სილაბუსებში გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტები, თუმცა გასულ წელს კავკასიის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შედეგად, რეალური გახდა პროგრამაში ამ რეკომენდაციით გათვალისწინებული შინაარსის სრულად ასახვა: სწავლების VII-VIII სემესტრებში პროგრამაში არსებული არჩევითი საგნები გაერთიანდა სავალდებულო მოდულებად (15/15 ECTS კრედიტი) და შეიძინა ე.წ. capstone-ის - შემაჯამებელი კურსის დატვირთვა. ასე რომ, მოდულები - მედიალაბი 1 და მედიალაბი 2 პროგრამის ახალ ვერსიაში სწორედ გარე ექსპერტისგან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზეა წარმოდგენილი.

კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო გარე დაინტერესებული მხარე - დამსაქმებლები, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით. უნივერსიტეტმა ჩაატარა აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის წინამორბედი პროგრამის კურსდამთავრებულთა, ისევე როგორც დამსაქმებლების გამოკითხვა, მოხდა მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ➢ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამა
- ➢თვითშეფასების ანგარიში
- ➢გარე შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის, როგორც სოციალური მეცნიერების დარგის განვითარების, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად განიცდის შესაბამის ცვლილებებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი პროცესის სისტემატური კონტროლითა და რეკომენდაციებით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებასა და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას. პროგრამული შეფასებით ირკვევა: პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხორციელდება თუ არა პროგრამა ისე, როგორც დაგეგმილი იყო; რა ზომებია მისაღები სტანდარტების შესასრულებლად და პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი ახდენს დაკვირვებას

საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევის შესახებ, წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების მიხედვით. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შემდგომი განვითარება. ყოველსემესტრულად ხორციელდება სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასება. ასევე, ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგების დამუშავება ხდება სასწავლო კურსების, ლექტორების, სკოლების მიხედვით. სკოლების მიხედვით სეგრეგირებულ მონაცემებს განიხილავს სკოლის საბჭო, ხოლო საუნივერსიტეტო მასშტაბით გამოვლენილ ფაქტორებს - მმართველი საბჭო. შეფასების შედეგებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იყენებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პროცესის გაუმჯობესებისთვის. უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტების წლიური გამოკითხვა, რომლითაც სტუდენტები აფასებენ საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა ტიპის სერვისებს, სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პრაქტიკაშია ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას. ამ მხრივ განსაკუთრებული აქცენტია მოქმედ საერთაშორისო პარტნიორებთან პროგრამების დაახლოებაზე და მათი კურუკულუმების შესწავლაზე. ეს პროცესი გულისხმობს არა მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციის მიღებას - ვებით, ან სხვა საინფორმაციო მასალით, არამედ პარტნიორთან პირდაპირ კომუნიკაციასაც: კავკასიის მედიის სკოლის აღნიშნული პროგრამა დისტანციურად დადარდა პარტნიორი - Savanahh State University, აშშ, ანალოგიურ პროგრამას (2018); კავკასიის მედიის სკოლის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი, "ერასმუს+"-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა პარტნიორ უნივერსიტეტში: Babes-Bolyai University, რუმინეთი (2018) და მონაწილეობდა აშშ-ს მთავრობის მედიის განვითარების პროგრამაში, რომლის მასპინძელიც იყო Loyola University, Chicago (2016). პროგრამის აკადემიური პერსონალი, იმყოფებოდა და SMK University of Applied Social Sciences, ლიეტუვა (2017). აღნიშნული ვიზიტების ფარგლებში მოხდა მედიისა და კომუნიკაციების სფეროში პარტნიორების პროგრამების უკეთ გაცნობა და გამოცდილების გაზიარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; ➢პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება;

➢სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები და შედეგები; ➢პერსონალის CV-ები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელ

ხათუნა კაჭარავა

აკრედიტაციის ექს ის წევრ(ებ)ის

ანა ქეშელაშვილი

მალხაზ გაგუა 

ენდი ჭელიძე